



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

16 ივნისი 2025



N 316/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თერჯოლაში, შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „რუსელოისის“ (ს.კ. 404504327) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2025 წლის 28 თებერვალს (წერილი N1849) წარმოდგენილია ქ. თერჯოლაში შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის (ბრძანება N 112/ს; 06/03/2025) შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „ელსჰაუსის“ მიერ.

2023 წლის 20 მარტს ქ. თერჯოლაში, შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (N 128/ს), რომლის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. შპს „რუსელოისის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა აღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N 43 ბრძანება N 389/ს; 29.07.2024).

2008 წლის 19 ნოემბერს შპს „ა.დ.ვ.-ტოგოს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გაიცა N38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N00139 (ბრძანება N759). 2014 წლის 17 ივნისს შპს „ა.დ.ვ.-ტოგოზე“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „რუსმეტალს“ (ბრძანება N 000075), ხოლო 2016 წლის 3 თებერვალს აღნიშნული ნებართვა შპს „რუსმეტალისგან“ გადაეცა შპს „რუსელოისს“. 2020 წლის 26 ნოემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-1095).

2023 წლის 15 მარტს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁸ და 79⁷ მუხლების პირველი ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N077297 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო მდებარეობს ქ. თერჯოლაში, „რუსელოისის“ საკუთრებაში არსებულ 12 719 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 33.09.43.669). საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 530 მ მანძილით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიის საზღვრიდან დასავლეთ მხარეს დაახლოებით 400 მ მანძილზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა (ს/კ 33.09.43.670), რომელიც წარმოადგენს მეცხოველეობის ფერმას და სამწყემსურს. საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან (დაახლოებით 300 მეტრში) ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო (ს-1) გზა. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ჩოლაბური) საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 130 მეტრით. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 500 მეტრის რადიუსში განთავსებულია შპს „ნიუ როუდ ჯგუფის“ ასფალტის, შპს „ბაზილიკას“ ცემენტის და კირქვის დაფქვის და ბეტონის საწარმოები, ასევე, შპს „მ გრუპის“ ინერტული მასალის გადამამუშავებელი და შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობთა საწარმოები.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის და საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივები. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ტერიტორიის შერჩევასა და განიხილებოდა ორი ალტერნატიული ვარიანტი: პირველი ვარიანტის მიხედვით, ტერიტორია მდებარეობს მანგანუმის მადნის ლიცენზირებული კარიერთან ახლოს, სოფ. საფარეთის აღმოსავლეთით, მდ. ძეგრულას მარჯვენა შენაკადის ე.წ. „ჩარჩხულის ღელე“-ს მიმდებარედ, უახლოეს მოსახლესთან დაახლოებით 150მ -ის მანძილზე. ხოლო, მეორე ვარიანტის მიხედვით მოხდა არსებული ტერიტორიის (ს/კ: 33.09.43.669) განხილვა. გარემოსდაცვითი მათ შორის სოციალური საკითხების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა მეორე ალტერნატიულ ვარიანტს. უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

შპს „რუსელოისის“ საქმიანობას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის მადნის გამამდიდრება) გადამამუშავება, რაც გულისხმობს მანგანუმის დაჟანგული და მცირე დაჟანგული მადნის სველი გრავიტაციული მეთოდით გამამდიდრებას. საწარმოში გადამამუშავდება 40 800 ტ/წელიწადში (17 ტ/სთ) ნედლეული, საიდანაც მიიღება 20 000 ტ/წელიწადში (8,3 ტ/სთ) გამამდიდრებული მადანი. საწარმო მუშაობს 300 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საწარმოში 20 000 ტ გამამდიდრებული მადნიდან წლიურად მოსალოდნელია 14 000 ტონა ნარჩენის სახით კუდების და შლამების წარმოქმნა.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ხაზი მოიცავს შემდეგ დანადგარებს: ლენტურ ტრანსპორტიორს, ვიბრაციულ ცხავს (ცხრილს), სამტვრეველას, ჯამებიან ელევატორს (2 ერთეული), სპირალურ კლასიფიკატორს, სალექ მანქანას, წყლის ტუმბოს და მკვებავ ბუნკერს. საწარმოში ასევე განთავსებულია ოთხსაფეხურიანი სალექარი.

საწარმოში ნედლეულის მიღება ხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგრის მიმდებარედ არსებული მანგანუმის შემცველი მადნის კარიერიდან, რომელიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 18 კილომეტრში. კარიერიდან ნედლეულის შემოტანა საწარმოს ტერიტორიაზე ხდება ავტოთვითმცლელების საშუალებით. ნედლეული დროებით თავსდება მისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, საიდანაც პერიოდულად ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში და ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბრაციულ ცხავს. აღნიშნულ დანადგარში წარიმართება დახარისხების პროცესი და წარმოქმნილი 8 მმ-ზე მცირე ზომის ფრაქციები გადაიტვირთება სპირალურ კლასიფიკატორში, ხოლო ცხავზე დარჩენილი ნაწილი (8 მმ და მეტი ფრაქციის) მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს, სადაც ხდება მადნის დაქუცმაცება 8 მმ-ზე ნაკლებ ფრაქციებამდე, რის შემდეგაც დაქუცმაცებული მადანი კვლავ დაბრუნდება ვიბრაციულ ცხავში და გადაიტვირთება სპირალურ კლასიფიკატორში, რომელიც უზრუნველყოფს მადნის გაწყლოვანებას. კლასიფიკატორიდან გაწყლოვანებული მასა გადავა სალექ დანადგარში, სადაც მოხდება მანგანუმის კონცენტრატისა და კუდების ერთმანეთისგან გაყოფა. მანგანუმის კონცენტრატი ჩაიტვირთება მზა პროდუქციის ბუნკერში, ხოლო კუდები - მეორე სპირალურ კლასიფიკატორში, სადაც მოხდება კუდების გაუწყლოების პროცესი. გაუწყლოების დროს შლამიანი წყალი მილის მეშვეობით ჩაედინება სალექარში - შლამის მიმღებ ტბორში,

ხოლო დარჩენილი მსხვილი მასა (კუდები) - კუდასაცავში. სალექარიდან (შლამის მიმღები ტბორიდან) დალექილი გაუწყლოებული შლამი გადაიტანება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შლამსაცავზე (ფართობი - 500 მ²).

საწარმოში მადნის გაწყლოვანებისთვის წყლის გამოყენება გათვალისწინებული იყო ტექნიკური წყლების შემკრები რეზერვუარიდან (ტბორიდან) მიწოდებული წყლით, რომელიც სალექარში გავლის შემდეგ, კვლავ უზრუნდებოდა ტბორს, კვლავ გამოყენების მიზნით (ე.წ ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოში მადნის გაწყლოვანებისთვის წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. ჩოლაბურიდან, ხოლო გამოყენებული წყალი, სალექარში გავლის შემდეგ, ღია არხის (200 მ სიგრძით) საშუალებით ჩაედინება მდ. ჩოლაბურში (წყალჩაშვების GPS კოორდინატები X-330067, Y-4669435). 2008 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული იყო კარიერთან ახლოს მადნით დატვირთული მანქანების გასარეცხი დანადგარის მოწყობა გამწმენდთან ერთად, რომელიც გამორიცხავდა კარიერიდან ტრანსპორტით ამოტანილი მადნიანი ტალახის მტვრის სახით გაფანტვას გარემოში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით ავტოსატრანსპორტო საშუალების მარაზე დაგებული იქნება სითხეგაუმტარი გეომემბრანა, რომელიც უზრუნველყოფს მანქანის მარაზე შლამების შეკრებას.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით საჭირო გახდა საპროექტო ტერიტორიაზე გარკვეული ცვლილებების განხორციელება (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობის საფუძველზე), კერძოდ, სანიაღვრე ჩამდინარე წყლების და შლამსაცავებიდან და კუდასაცავებიდან ნაჟური წყლების შემკრები არხების მოწყობა და სალექარის გავლით გაწმენდილი წყლის მდ. ჩოლაბურში ჩაშვება.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. სამეურნეო დანიშნულებით ობიექტის წყალმომარაგება ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული შახტური ჭიდან (GPS კოორდინატები: X- 330200, Y-4669365). სასმელი წყლის შემოტანა ხორციელდება ბუტილირებული სახით, ტექნიკური დანიშნულებით წყლის აღება როგორც აღინიშნა ხორციელდება მდ. ჩოლაბურიდან (წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები: X-330084, Y-4669405.) ტუმბოს საშუალებით (წარმადობა 60 მ³ /სთ). საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკური წყლის ხარჯი, სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, წელიწადში შეადგენს 79 680 მ³ -ს.

საწარმოში წარმოიქმნება საწარმოო, სანიაღვრე და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლები. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებისთვის ტერიტორიაზე მოწყობილია წყალგაუმტარი საასენიზაციო ორმო, რომლის დაცლა ხორციელდება სპეც. ავტომანქანით ხელშეკრულების საფუძველზე. ანგარიშის თანახმად სანიაღვრე წყლების დაბინძურება ძირითადად შესაძლებელია შლამსაცავიდან და ნაწილობრივ ტერიტორიაზე დასაწყობებული მანგანუმის მადნის სანაყაროდან. გათვალისწინებულია როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ასევე შლამსაცავის პერიმეტრზე დამწრეტი არხების მოწყობა, რომლებსაც მიუერთდება შლამსაცავიდან და კუდასაცვიდან წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები. სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა შეადგენს 604,5 მ³/წელ. როგორც აღინიშნა საწარმოს მიერ ხორციელდება მანგანუმის მადნის სველი გრაფიტაციული გამდიდრების მეთოდის გამოყენება, შესაბამისად ადგილი აქვს საწარმოო ჩამდინარე წყლის წარმოქმნას, რომლის რაოდენობა შეადგენს 63 744 მ³/წელ. აღნიშნული წყლების (საწარმოო და სანიაღვრე ჯამში - 64 348,5 მ³/წელ.) ჩაშვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ ჰორიზონტალურ სალექარში.

საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი სალექარი წარმოადგენს ოთხსაფეხურიან ჰორიზონტალურ სალექარს (ჯამური მოცულობით 700 მ³). სალექარის პირველ და მეორე სექციებში მოხდება მსხვილი ზომის შეწონილი ნივთიერებების დალექვა, ხოლო მესამე და მეოთხე სექციები უზრუნველყოფს წყლის მცირე ზომის ნაწილაკებისგან გაწმენდას. სალექარიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყალი, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი ღია არხით (200 მ სიგრძით), როგორც აღინიშნა ჩაედინება მდ. ჩოლაბურში (X-330067, Y-4669435). გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი. წარმოდგენილი

ინფორმაციის თანახმად ზღრ-ის ნორმების დაცვაზე კონტროლის მიზნით ჩატარებული იქნება ჩამდინარე წყლის ლაბორატორიული კვლევა კვარტალში ერთხელ.

ანგარიშის მიხედვით, სალექარში დაგროვილი შლამის რაოდენობა წელიწადში არ აღემატება 12 000 ტ-ს. სალექარის სექციებიდან შლამის ამოღება მოხდება საჭიროების მიხედვით (წელიწადში 3-ჯერ) ექსკავატორის მეშვეობით. როგორც გზშ-ის ანგარიშშია განმარტებული - იგეგმება 700 მ³ მოცულობის სალექარის მოდერნიზება.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. ობიექტის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: მანგანუმი და მისი ნაერთები, არაორგანული მტვერი SiO₂<20 %. წარმოდგენილი ანგარიშით საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება შეფასებულია ობიექტის მაქსიმალური დატვირთვის პირობებში სამუშაო ფონდის და პერიოდულობის შესაბამისად. გაბნევის ანგარიშში გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული შპს „ნიუ როუდ ჯგუფის“ ასფალტის, შპს „ბაზილიკას“ ცემენტის და კირქვის დაფქვის და ბეტონის საწარმოებიდან, შპს „მ გრუპის“ ინერტული მასალის გადამამუშავებელი და შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობთა ქარხნებიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მონაცემები.

გაბნევის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, მათ შორის, ახლომდებარე ობიექტებთან კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მტვრის კონცენტრაცია არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მნიშვნელობებს, საწარმოდან 500 მეტრიანი რადიუსის დაშორების წერტილებში, წარმოდგენილი გაბნევის ანგარიშის შესაბამისად.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ხმაურის გამომწვევ ძირითადად წყაროს წარმოადგენს სამსხვრევი დანადგარი. ამასთან, ანგარიშში ხმაურის მონიტორინგი და მისი განხორციელების გეგმის ქვეთავში წარმოდგენილია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია. ამასთან, დაგეგმილია ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის ჩატარება საწარმოდან 500 მ-იანი ზონის საზღვარზე. ხმაურის გაზომვები იწარმოებს ასევე საწარმოს ტერიტორიაზე, შერჩეულ წერტილში.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოიქმნება სხვადასხვა სახის ნარჩენები. არასახიფათო საყოფაცხოვრებო ნარჩენები გროვდება ტერიტორიაზე განთავსებულ კონტეინერებში, რომელთა გატანა ხორციელდება პერიოდულად, მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. მანგანუმი მადნის გამდიდრების შედეგად წარმოქმნილი კუდები და შლამები (14 000 ტ) დროებით თავსდება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე და პერიოდულად გადაიზიდება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძეგრის მიმდებარედ არსებულ მანგანუმის მადნის კარიერის ტერიტორიაზე გამომუშავებულ ფართობზე.

საწარმოს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები. ობიექტი განთავსებულია სამრეწველო ზონაში, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მიზნით, გათვალისწინებული იქნა ყველა ახლომდებარე საწარმოებიდან - შპს „ნიუ როუდ ჯგუფის“ ასფალტის, შპს „ბაზილიკას“ ცემენტის და კირქვის დაფქვის და ბეტონის საწარმოებიდან, შპს „მ გრუპის“ ინერტული

მასალის გადამამუშავებელი და შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობთა ქარხნიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაჩვენებლები.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოსთვის საჭირო ნედლეულის მოცულობიდან გამომდინარე სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა საშუალოდ დღეში 7-მდე გადატვირთვის ტოლია. ამასთან, საწარმო იმუშავებს მხოლოდ დღისით, გარდა ამისა, ცენტრალური საავტომობილო გზით სარგებლობა გამორიცხავს სატრანსპორტო ნაკადების ფონური ინტენსივობის მნიშვნელოვან ზრდას, საწარმოს განთავსების ტერიტორიასთან ცენტრალური საავტომობილო გზიდან მიყვანილია გრუნტის საავტომობილო გზა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ანგარიშის თანახმად ნედლეულის, პროდუქციისა და შლამების/კუდების ტრანსპორტირებისას ავტომანქანები სისტემატიურად იქნება შემოწმებული ტექნიკურ გამართულობაზე, მოძრაობის სიჩქარის დაცვაზე, გათვალისწინებულია ტვირთის დანამვა წყლით (საჭიროების შემთხვევაში), ავტომანქანის მარაზე სითხეგაუმტარი გეომემბრანის დაგება და სხვა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო წარმოდგენილი ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა გაზეთში, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 17 აპრილს, ქ. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საკონსულტაციო კომპანია შპს „ელქსაუსის“, განმახორციელებელი კომპანია შპს „რუსელოისის“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, შენიშვნა/მოსაზრება ძირითადად ეხებოდა საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად მტვრის გავრცელების საკითხს, რაზეც შესაბამისი კომენტარი გააკეთა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და შპს „ელქსაუსის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმში. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, პროექტთან დაკავშირებით სააგენტოში საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის დაგეგმილი საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის და მეორე დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ზ:


1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქალაქ თერჯოლაში შპს „რუსელოისის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „რუსელოისმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ასევე ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

4. შპს „რუსელოისმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ობიექტიდან 500მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში ასახული უნდა იქნეს ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები, შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP) კვარტალში ერთხელ, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (ტექნოლოგიური პროცესის მკაცრი კონტროლის მიხედვით) და ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენა წელიწადში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად). მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
6. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის გავრცელების/გაანგარიშების შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის დონის ინსტრუმენტული მონიტორინგის წარმოება (კვარტალში ერთხელ) უზრუნველყოს ასევე, საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვარზე;
7. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს სალექარის მოდერნიზაციის გეგმის შესახებ დეტალური ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა, მათ შორის შესაბამისი ფოტო-მასალა და დაგეგმილი ღონისძიებები მოდერნიზაციის შესაბამისად;
8. შპს „რუსელოისმა“ უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებიდან სამი თვის განმავლობაში, თვეში ერთხელ, სალექარის გაწმენდის ეფექტურობის დადგენის მიზნით, სალექარიდან გამოსული ჩამდინარე წყლის მონიტორინგი (ლაბორატორიული ანალიზი/მონიტორინგის წერტილები) და შედეგების სააგენტოში წარმოდგენა. შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპზე ჩამდინარე წყლის მონიტორინგი (ლაბორატორიული ანალიზი) განახორციელოს კვარტალში ერთხელ;
9. შპს „რუსელოისმა“ უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ) ნორმების“ დაცვა;
10. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნედლეულის/პროდუქციის და ნარჩენების (კუდები/შლამები) ტრანსპორტირების სქემის/გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება. ტრანსპორტირების განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმების შესაბამისად;
11. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარაზე დაგებული სითხეგაუმტარი გეომემბრანის ეფექტურობის ხარისხის მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით. ასევე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;
12. შპს „რუსელოისმა“ უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე/პერიმეტრზე გამწვანების ზოლის მოწყობა და ექსპლუატაციის ეტაპზე მისი მოვლა-პატრონობა. ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად საწარმოს ტერიტორიის მორწყვა;
13. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება (სადაც გათვალისწინებული იქნება შლამის ნარჩენის კოდი, დასახელება, რაოდენობა და შემდგომი მართვის საკითხები) „კომპანის

ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

14. შპს „რუსელოისმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
15. შპს „რუსელოისმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
16. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რუსელოისს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
17. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსელოისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
18. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/316-21-4-202506161747>

